დაზოგვის მსოფლიო დღე 2026

გაკვეთილი V-VI კლასებისთვის

დრო: 1 გაკვეთილი (45 წთ)

საჭირო მასალები:

- *PPT: WSD 2026_პრეზენტაცია_V-VI კლასი;*
- *PDF: ფულის ისტორია: ქრონოლოგიისა და ფულის ფორმების ბარათები, პლუსები, მინუსები, ისრები;*
- *მზა თამაში „ფულის ისტორია“ (წასაღები მასალებიდან) - იყენებთ კლასში, და შემდეგ, ბროშურებთან ერთად უტოვებთ მასწავლებელს;*
- *5 კალამი და 5 ფურცელი გუნდებისთვის, ტელეფონი - წამზომის დასანიშნად;*
- *დაფა, ცარცი/მარკერი*

მომზადება:

- *მასწავლებელს წინასწარ სთხოვეთ, კლასი 5 გუნდად გაყოფილი დაგახვედროთ. თითო გუნდს ჰქონდეს თითო კალამი და ფურცელი.*

სლაიდი 1:

გამარჯობა, მე - - - ვარ, - - - ბანკის თანამშრომელი და დღეს გესტუმრეთ, როგორც ფინედუს დესპანი, რათა ფულზე გესაუბროთ.

დღეს ცოტა ხნით ფულის ისტორიის მკვლევარები გავხდებით, გუნდებად ვითამაშებთ და ვნახავთ, როგორ შეიცვალა ფული დროთა განმავლობაში.

სლაიდი 2:

სანამ დავიწყებთ, გთხოვთ ხელის აწევით მიპასუხეთ:

- *ვინ ფიქრობს, რომ ფული ყოველთვის ისეთი იყო, როგორიც დღეს გვაქვს? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*
- *ვინ ფიქრობს, რომ ადრე ადამიანები ფულის ნაცვლად სხვა ნივთებს იყენებდნენ? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*
- *ვის აინტერესებს, როგორ უნდა დაზოგო ფული და გაზარდო შენი დანაზოგი? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*
- *ვის სურს გახდეს ფინანსური თაღლითობის „დეტექტივი“ (მოსწავლეები სწევენ ხელს)?*

მშვენიერია, ეს სწორედ ის საკითხებია, რაზეც დღეს თამაშთან ერთად ვისაუბრებთ!

სლაიდი 3: (თამაშისთვის მომზადება)

ჩვენი თამაში ოთხი ეტაპისგან შედგება. თითოეულ ეტაპზე გუნდებს გექნებათ დავალება, რომელიც ქულებით შეფასდება. გთხოვთ, დაწეროთ თქვენი გუნდის ნომერი პასუხების ფურცელზე. მზად ხართ?

შენიშვნა: მიანიჭეთ გუნდებს ნომრები.

სლაიდი 4: (თამაშის 1-ელი ეტაპი)

დავიწყოთ პირველი ეტაპით. სლაიდზე ხედავთ ფულთან დაკავშირებულ 5 მოვლენას, რომლებიც სხვადასხვა დროს მოხდა. ჩვენი მიზანია, სწორი თანმიმდევრობით დავალაგოთ ისინი - ყველაზე ძველი მოვლენიდან უახლოესამდე.

შენიშვნა: დაურიგეთ თითოეულ გუნდს ქრონოლოგიის თითო ბარათი.

ახლა, თითოეულ გუნდს თითო ბარათს დაგირიგებთ. კარგად წაიკითხეთ, რა წერია თქვენს ბარათზე, შემდეგ კი სლაიდზე მოძებნეთ ეს მოვლენა. მე წაგიკითხავთ სლაიდზე მოცემულ 5-ივე მოვლენას.

შენიშვნა: წაიკითხეთ სლაიდზე მოცემული 5 მოვლენა.

თქვენი დავალებაა გამოიცნოთ, ხუთ მოვლენას შორის მერამდენე მოხდა თქვენი ბარათის მოვლენა: პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე თუ მეხუთე?

პასუხი შეათანხმეთ გუნდში და დაწერეთ გუნდის ფურცელზე. სწორი პასუხისთვის მიიღებთ 1 ქულას. დავალების შესასრულებლად გაქვთ 3 წუთი.

ახლა კი გთხოვთ, თითო გუნდიდან თითო მოსწავლე გამოხვიდეთ და მაჩვენოთ თქვენი ბარათი და პასუხების ფურცელი.

სლაიდი 5: (თამაშის 1-ელი ეტაპი: პასუხები)

სწორი თანმიმდევრობა ასეთია:

- I ბარათი - ქვის ხანა - მსოფლიო;
- II ბარათი - ძვ.წ. VII საუკუნე - ლიდიის სამეფო;
- III ბარათი - X საუკუნე - ჩინეთი;
- IV ბარათი - XX საუკუნის დასაწყისი - აშშ;
- V ბარათი - XXI საუკუნის დასაწყისი - მსოფლიო;

შენიშვნა: მიმდევრობით წააკითხეთ თითოეულ წევრს თავიანთი ბარათები. ჩამოწერეთ დაფაზე გუნდების ნომრები და შესაბამისი ქულები: 1 ქულა სწორი პასუხისთვის, 0 ქულა - არასწორი პასუხისთვის. დაიტოვეთ ქრონოლოგიის ბარათები.

სლაიდი 6: (თამაშის მე-2 ეტაპი)

პირველ ეტაპზე მოვლენები დროის მიხედვით დავალაგეთ. ახლა კი გავიგოთ, ფულის რა ფორმას იყენებდნენ ამა თუ იმ დროს.

შენიშვნა: დაურიგეთ თითოეულ გუნდს ფულის ფორმის თითო ბარათი.

თითოეულ გუნდს ფულის ერთ-ერთი ფორმის ან მისი შემცვლელის ბარათს დაგირიგებთ. კარგად წაიკითხეთ ბარათი. თქვენი დავალებაა, გამოიცნოთ, სლაიდზე მოცემულ რომელ პერიოდს უკავშირდება თქვენი ბარათი.

პასუხი შეათანხმეთ გუნდში და დაწერეთ პასუხების ფურცელზე. სწორი პასუხისთვის მიიღებთ 1 ქულას. დავალების შესასრულებლად გაქვთ 3 წუთი.

ახლა კი გთხოვთ, თითო გუნდიდან თითო მოსწავლე გამოხვიდეთ და მაჩვენოთ თქვენი ბარათი და პასუხების ფურცელი.

სლაიდი 7: (თამაშის მე-2 ეტაპი: პასუხები)

სწორი პასუხებია:

- **ქვის ხანა - ბარტერი** - უძველეს დროში, ფულის გამოგონებამდე, ადამიანები პირდაპირ ცვლიდნენ ერთმანეთში ნივთებს. მაგალითად, 2 ტომარა მარცვლეული შეიძლება 1 ძროხაში გაეცვალათ, გააჩნია, როგორ შეთანხმდებოდნენ ერთმანეთში - რა უღირდათ ესა თუ ის ნივთი.
- **ძვ.წ. VII საუკუნე - მონეტები** - სწორედ ლიდიის სამეფოში მოიჭრა პირველი ოქროს მონეტები, რომლითაც ადამიანები საქონლისა და მომსახურების საფასურს იხდიდნენ.
- **X საუკუნე - ქაღალდის ფული** - ჩინეთში გაჩნდა ქაღალდის ფულის წინამორბედი. ქაღალდის ფულს ბანკნოტი ეწოდება.
- **XX საუკუნე - ბარათი** - ამერიკის ბანკმა პირველი საკრედიტო ბარათი გამოუშვა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ადამიანი ნივთის საფასურს ბარათის საშუალებით იხდიდა, მოგვიანებით კი ბანკს ფულს უბრუნებდა.
- **XXI საუკუნის დასაწყისი** - **ციფრული ფული** - ციფრული ფული ნაღდი ფულის ელექტრონული შემცვლელია. ის ციფრულ სისტემაში ინახება და მისი გადარიცხვა ან ნივთის საფასურის გადახდა მხოლოდ ელექტრონულად არის შესაძლებელი.

შენიშვნა: მიმდევრობით წააკითხეთ თითოეულ წევრს თავიანთი ბარათები. დაწერეთ დაფაზე შესაბამისი ქულები: 1 ქულა სწორი პასუხისთვის, 0 ქულა - არასწორი პასუხისთვის. დაუბრუნეთ გუნდებს თავ-თავიანთი ფულის ფორმის ბარათი და მიეცით ასევე შესაბამისი - ქრონოლოგიის ბარათი.

როგორც ვნახეთ, ფული საუკუნეების მანძილზე იცვლიდა ფორმას - ნივთები, ლითონი, ქაღალდი, ბარათი და უკვე ელექტრონული სახით, რადგან ადამიანებს სჭირდებოდათ გაცვლისა და გადახდის უფრო მოსახერხებელი გზები.

სლაიდი 8: (თამაშის მე-3 ეტაპი)

გადავიდეთ მესამე ეტაპზე: ახლა გუნდებში უნდა იმსჯელოთ, რა შეიძლება იყოს თქვენს ბარათზე გამოსახული ფულის ფორმის ან მისი შემცვლელის უარყოფითი მხარე. დაფიქრდით, რა შეიძლება იყოს მოუხერხებელი, ან რა სირთულე შეიძლება შეგვიქმნას მისმა გამოყენებამ.

თქვენი დავალებაა, მოიფიქროთ სამი უარყოფითი მხარე და ჩამოწეროთ ისინი გუნდის პასუხების ფურცელზე. თითოეული სწორი პასუხისთვის მიიღებთ 1 ქულას, ანუ ამ ეტაპზე მაქსიმუმ 3 ქულის მოპოვება შეგიძლიათ. მოსაფიქრებლად გაქვთ 3 წუთი.

ახლა კი გთხოვთ, თითო გუნდიდან თითო მოსწავლე გამოხვიდეთ, მაჩვენოთ თქვენი ბარათი და ხმამაღლა წაიკითხოთ თქვენი პასუხები.

სლაიდი 9: (თამაშის მე-3 ეტაპი: პასუხები)

შენიშვნა: მოსწავლეებს შეიძლება სხვა სწორი პასუხებიც ჰქონდეთ, რომლებიც ბარათებზე არ არის მოცემული. ასეთი პასუხებიც ჩაუთვალეთ ქულად. პასუხების განხილვისას შესაბამის გუნდს დაურიგეთ ფულის ფორმის ნაკლოვანების (მინუს) ბარათები ფერების მიხედვით.

ბარტერი (სტაფილოსფერი ბარათები): ნივთების გაცვლა ყოველთვის მარტივი არ იყო. მაგალითად, რამდენი ცხვარი უნდა გაგვეცვალა ერთ ძროხაში? თან, დიდი ან მძიმე ნივთების ტარებაც მოუხერხებელი იქნებოდა.

მონეტები (ვარდისფერი ბარათები): ბევრი მონეტის ერთად ტარება მძიმეა, ხოლო უძველესი მონეტების დასამზადებლად ძვირფასი ლითონები იყო საჭირო.

ქაღალდის ფული (იასამნისფერი ბარათები): შეიძლება დაიხიოს, დასველდეს ან დაზიანდეს. მისი გამოყენებით ინტერნეტში პირდაპირ ვერ გადავიხდით და არსებობს ყალბი ბანკნოტების შემოპარების რისკიც.

საბანკო ბარათი (ფინედუსფერი ბარათები): თუ ბარათს დავკარგავთ და დროულად არ დავბლოკავთ, შესაძლოა სხვამ ის ბოროტად გამოიყენოს. ბარათის მონაცემებიც დაცული უნდა იყოს. ბავშვებს საბანკო ანგარიშისა და ბარათის გახსნაში მშობლის მონაწილეობა სჭირდებათ.

ციფრული ფული (მწვანე ბარათები): ელექტრონული გადახდისთვის ხშირად ინტერნეტი ან შესაბამისი მოწყობილობა გვჭირდება და არსებობს თაღლითობის რისკიც.

შენიშვნა: დაწერეთ დაფაზე შესაბამისი ქულები: 1 ქულა თითო სწორი პასუხისთვის (მაქს. 3), 0 ქულა - არასწორი პასუხისთვის. დაუბრუნეთ გუნდებს თავ-თავიანთი ფულის ფორმის, ქრონოლოგიისა და ნაკლოვანებების ბარათები.

სლაიდი 10: (თამაშის მე-4 ეტაპი)

როგორც ვნახეთ, ფულის თითოეულ ფორმას თავისი ნაკლოვანებები აქვს. თამაშის მეოთხე ეტაპზე კი გუნდები უნდა დაფიქრდეთ, რა უპირატესობები აქვს თქვენს ბარათზე მოცემულ ფულის ფორმას და რა პრობლემას აგვარებს.

თქვენი დავალებაა, მოიფიქროთ სამი უპირატესობა (დადებითი მხარე) და ჩამოწეროთ ისინი გუნდის პასუხების ფურცელზე. თითოეული სწორი პასუხისთვის მიიღებთ 1 ქულას, ანუ ამ ეტაპზე მაქსიმუმ 3 ქულის მოპოვება შეგიძლიათ. მოსაფიქრებლად გაქვთ 3 წუთი.

ახლა კი გთხოვთ, თითო გუნდიდან თითო მოსწავლე გამოხვიდეთ, მაჩვენოთ თქვენი ბარათი და ხმამაღლა წაიკითხოთ თქვენი პასუხები.

სლაიდი 11: (თამაშის მე-4 ეტაპი: პასუხები)

შენიშვნა: მოსწავლეებს შეიძლება სხვა სწორი პასუხებიც ჰქონდეთ, რომლებიც ბარათებზე არ არის მოცემული. ასეთი პასუხებიც ჩაუთვალეთ ქულად. პასუხების განხილვისას შესაბამის გუნდს დაურიგეთ ფულის ფორმის უპირატესობის (პლუს) ბარათები ფერების მიხედვით.

ბარტერი (სტაფილოსფერი): ბარტერის დროს ფული საჭირო არ არის - სასურველი ნივთის მიღება უკვე არსებული ნივთის გაცვლით შეიძლება.

მონეტები (ვარდისფერი): მონეტები გამძლეა და დიდხანს გამოიყენება. მათ სტანდარტული ღირებულება აქვთ, რამაც ნივთების ფასების განსაზღვრა და შედარება გაამარტივა.

ქაღალდის ფული (იასამნისფერი): მონეტებთან შედარებით მსუბუქი და ადვილად სატარებელია. მისი დამზადება მონეტების დამზადებაზე ნაკლები შეიძლება ღირდეს. ქაღალდის ფულის ღირებულება მასალის ღირებულებაზე არ არის დამოკიდებული - მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და ფულის სისტემისადმი ნდობა.

საბანკო ბარათი (ფინედუსფერი): მოსახერხებელია სატარებლად, გადახდა სწრაფად შეიძლება და მისი გამოყენება ონლაინ შესყიდვების დროსაც შესაძლებელია. ნაღდი ფულის დიდი რაოდენობით ტარების საჭიროებასაც ამცირებს.

ციფრული ფული (მწვანე): ციფრული ფორმით თანხის გადარიცხვა სწრაფად და მოსახერხებლად შეიძლება, ხოლო ფიზიკურად ფულის ტარება საჭირო არ არის. ზოგიერთი ციფრული გადარიცხვა შუამავლების ნაკლები მონაწილეობითაც ხორციელდება.

შენიშვნა: დაწერეთ დაფაზე შესაბამისი ქულები: 1 ქულა თითო სწორი პასუხისთვის (მაქს. 3), 0 ქულა - არასწორი პასუხისთვის. დაუბრუნეთ გუნდებს თავ-თავიანთი ფულის ფორმის, ქრონოლოგიის, პლუს და მინუს ბარათები, რათა კიდევ ერთხელ გადაავლონ თვალი სრულ სურათს. თამაშის დასასრულს კვლავ გამოართვით ყველა ბარათი.

სლაიდი 12: (ქულების დათვლა და თამაშის დასრულება)

ახლა დავითვალოთ ქულები და ვნახოთ, რომელ გუნდს დაგიგროვდათ ყველაზე მეტი ქულა. გილოცავთ გამარჯვებულ გუნდს! ყოჩაღ ყველა გუნდს, რადგან დავალებებს ძალიან კარგად გაართვით თავი!

რაც მთავარია, ამ თამაშის მიზანი, რომ ფულის ისტორიის „მკვლევარები“ გამხდარიყავით, მიღწეულია: ჩვენ ერთად ვნახეთ, რომ ფულის ფორმები ადამიანების საჭიროებებსა და ტექნოლოგიების ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა. დავიწყეთ ბარტერით - ნივთის ნივთში გაცვლით, განვიხილეთ პირველი მონეტები, ქაღალდის ფული, ბარათები და ბოლოს - ციფრული ფული. თითოეულ ეტაპზე ფულის ფორმა უფრო მეტად მოსახერხებელი ხდებოდა.

სლაიდი 13:

დღეს თანამედროვე მონეტებთან ერთად, ქაღალდის ფულსა და ბარათებსაც აქტიურად ვიყენებთ. საბოლოოდ, ფული ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებაში და სურვილების ასრულებაში გვეხმარება. გთხოვთ ხელის აწევით მანიშნოთ:

- *აგროვებთ ფულს რაიმე მიზნისთვის? (მოსწავლეები პასუხობენ)*

ძალიან კარგია, როდესაც რაიმე მიზანი გაქვთ და ამ მიზნისთვის ფულს აგროვებთ. ეს ნიშნავს, რომ როცა ფული გაქვთ, ყველაფერს კი არ ხარჯავთ, არამედ თქვენი ფულის გარკვეულ ნაწილს ზოგავთ - ანუ ინახავთ და აგროვებთ სამომავლოდ.

- *თქვენი აზრით, კიდევ რაში შეიძლება დაგვეხმაროს დანაზოგი? (მოსწავლეები პასუხობენ)*

შენიშვნა: მიიღეთ მხოლოდ 1-2 პასუხი და გააგრძელეთ.

დაზოგვა გვეხმარება იმაში, რომ მივაღწიოთ ჩვენს **ფინანსურ მიზნებს** - ავიხდინოთ პატარა სურვილები, ან დიდი ოცნებები, მოვემზადოთ მომავლისთვის. დანაზოგი ასევე არის ჩვენი ფინანსური დაცულობაც, რადგან გვეხმარება მომზადებული შევხვდეთ გაუთვალისწინებელ მოვლენებს.

სლაიდი 14:

ფულის დაზოგვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დაზოგვის მსოფლიო დღეც კი არსებობს - 31 ოქტომბერი. ეს დღე გვახსენებს, რომ ფულის მცირე ნაწილის გადადებაც კი შეიძლება მომავალში ჩვენი მიზნების მიღწევაში დაგვეხმაროს. დაზოგვის დღეს საქართველოში თავისი სიმბოლოც ჰყავს - ჭიანჭველა გროვია. ჩვენი ეს დღევანდელი შეხვედრაც სწორედ დაზოგვის დღისადმი მიძღვნილი კამპანიის ფარგლებში მიმდინარეობს.

- *კარგი, ახლა გვაქვს დაზოგილი ფული. სად შეიძლება შევინახოთ? სახლში - საფულეში? ბალიშის ქვეშ? წიგნებში? თუ სად? ბანკში? (მოსწავლეებიც პასუხობენ)*

სლაიდი 15:

- *თქვენი აზრით, რატომ შეიძლება ჯობდეს დანაზოგის ბანკში შენახვა? (მოსწავლეები პასუხობენ)*

შენიშვნა: მიიღეთ მხოლოდ 2-3 პასუხი და გააგრძელეთ.

დანაზოგი შეიძლება სახლში, ყულაბაშიც შევინახოთ, რადგან ყველასთვის მოსახერხებელია და მარტივია მისი გაკეთება. მაგრამ ეს ფული შეიძლება მოგვპარონ, დაგვეკარგოს, ან ჩვენ თვითონვე დავხარჯოთ. **ბანკში** ჩვენს ფულს უფრო უსაფრთხოდ შეინახავენ. თან როცა ბანკში ფული **დეპოზიტზე,** ანუ ანაბარზე გვაქვს შენახული, ბანკი მასზე დამატებით ფულსაც გვიხდის. მაგრამ ბანკი მხოლოდ ფულის შენახვის ადგილი არაა.

- *კიდევ რა მომსახურებებს გვთავაზობს ბანკი? (მოსწავლეები პასუხობენ)*

შენიშვნა: მიიღეთ მხოლოდ 2-3 პასუხი და გააგრძელეთ.

სლაიდი 16:

დიახ, ბანკი დამატებით სხვა ფინანსურ ანუ ფულთან დაკავშირებულ მომსახურებებსაც გვთავაზობს, მოსწავლეებს შეგიძლიათ მშობლების თანხმობით გახსნათ საბანკო ბარათი, რომელსაც თქვენი ფულის განკარგვისთვის გამოიყენებთ, დეპოზიტი ან ელექტრონული ყულაბა - სადაც ფულს დააგროვებთ, მობილბანკი - რომლითაც თქვენს ფულს ონლაინ გააკონტროლებთ.

მაგრამ, სანამ რომელიმე ბანკის მომსახურებას შეარჩევდეთ, მნიშვნელოვანია ყველგან მოიკითხოთ პირობები და ერთმანეთს შეადაროთ სხვადასხვა ბანკის შემოთავაზება.

- *კარგი, ახლა კიდევ ერთი კითხვა: იცით, რომელი ორგანიზაცია აკონტროლებს ბანკებს და ზრუნავს, რომ თქვენი ფული ბანკში დაცული იყოს? (მოსწავლეები პასუხობენ)*

სლაიდი 17:

სწორი პასუხია საქართველოს ეროვნული ბანკი. ის ქვეყნის მთავარი ბანკია, რომელიც სხვა ბანკებს „მსაჯობს“, რადგან როგორც სპორტში „მსაჯი“, ისე უყურებს რამდენად იცავენ თამაშის წესებს სხვა ბანკები და რამდენად გამართულად მუშაობენ. ეროვნული ბანკი ასევე, ის ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც უშვებს საქართველოს ეროვნულ ვალუტას - ლარს.

ამასთან ერთად ეროვნული ბანკი ბავშვებსა და დიდებსაც ესაუბრება ფულთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამისთვის მან შექმნა ფინანსური განათლების პლატფორმა - ფინედუ. გაიხსენეთ, რა გითხარით დასაწყისში - დღეს სწორედ ფინედუს წარმოვადგენ.

სლაიდი 18:

ფულის დაზოგვას რომ დავუბრუნდეთ - კიდევ ერთი გზა დანაზოგის შენახვისა, არის ფულის ინვესტირება. ინვესტირება ნიშნავს ფულის ისეთ რამეში ჩადებას, რომლისგანაც მომავალში შემოსავლის მიღებას ველით. ანუ ინვესტირებისას, ფულის უბრალოდ შეგროვების გარდა, მისი გაზრდის შესაძლებლობასაც ვეძებთ. თუმცა, ამგვარ შესაძლებლობასთან ერთად, რისკიც მოდის - ინვესტიცია შეიძლება როგორც მომგებიანი, ისე წამგებიანიც იყოს.

ინვესტირებამდე რამდენიმე კითხვა უნდა დავსვათ:

- რა კომპანია არის ეს?
- საიდან უნდა მოვიდეს ჩვენი შემოსავალი?
- რამდენი ხნით ვდებ ფულს?
- თუ ყველაფერი ისე არ წავიდა, როგორც ველოდი, რა შეიძლება დავკარგო?

ზოგი ბანკი მომხმარებლებს საინვესტიციო მომსახურებასაც სთავაზობს. ასევე არსებობს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიები - შუამავლები, რომლებიც ადამიანებს ინვესტირებაში ეხმარებიან.

თუმცა, სადაც არ უნდა ვაკეთებდეთ ინვესტიციას, მთავარი წესი იგივეა: სანამ ფულს სადმე დავაბანდებთ, უნდა ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ და რა რისკი ახლავს ამას.

სლაიდი 19:

ინვესტირებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ უნდა იცოდეთ: ყველა, ვინც დანაზოგის გაზრდას გპირდებათ, აუცილებლად კეთილსინდისიერად არ მოქმედებს. არსებობს ფინანსური პირამიდაც.

წარმოიდგინეთ, რომ ვიღაც გეუბნებათ: „ჩადე ფული და ძალიან მალე ბევრად მეტს მიიღებ! რისკი თითქმის არ არსებობს. თან, თუ ორ მეგობარსაც მოიყვან, ისინიც ფულს ჩადებენ და შენ კიდევ უფრო მეტს მიიღებ. იჩქარეთ, ეს შესაძლებლობა შეიძლება ხვალ აღარ იყოს“.

- *როგორ მოიქცევით? (მოსწავლეები პასუხობენ)*

სლაიდი 20:

სწორი პირველი ნაბიჯია - არ ვიჩქაროთ და გადავამოწმოთ. ფინანსური პირამიდის დროს კომპანია რეალურად ბიზნესს არ ახორციელებს - შემოსავალი ახალი მონაწილეების მიერ ფულის შემოტანაზეა დამოკიდებული. ამიტომ, როცა ახალი მონაწილეების მოზიდვა ვეღარ ხერხდება, სქემა იშლება და ბევრი ადამიანი ფულს უკან ვეღარ იბრუნებს. საეჭვო ნიშანია ასევე, ძალიან მაღალი ან გარანტირებული მოგების დაპირება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამბობენ, რომ რისკი თითქმის არ არსებობს.

მოდი, ახლა მე წაგიკითხავთ სიტუაციებს, თქვენ კი ხელის აწევით მანიშნეთ, საეჭვოა თუ არა.

შენიშვნა: 21-24 სლაიდებზე თითოეულ ქეისზე შემოიფარგლეთ მხოლოდ ხელის/ცერის ჩვენებით და არ გააკეთებინოთ კომენტარები.

სლაიდი 21:

ვინმე უჩვეულოდ დიდ მოგებას გვპირდება და თან გვეუბნება, რომ ფულის დაკარგვის რისკი საერთოდ არ არსებობს.

მართალია, საეჭვოა.

სლაიდი 22:

ფულის გამოსამუშავებლად აუცილებლად სხვა ადამიანების მოყვანას გვთხოვენ.

მართალია, საეჭვოა.

სლაიდი 23:

არ გვიხსნიან, კონკრეტულად რაში იყენებენ ჩვენს ფულს და საიდან მოდის მოგება.

მართალია, საეჭვოა.

სლაიდი 24:

გვაჩქარებენ და გვეუბნებიან: „მხოლოდ დღეს შეგიძლია ჩადება“ ან „ახლავე უნდა გადაწყვიტო“.

მართალია, საეჭვოა.

სლაიდი 25:

დიდი მადლობა მონაწილეობისთვის. ახლა ჩვენ ფინანსური თაღლითობის „დეტექტივობანა“ ვითამაშეთ და უკვე იცით, რას უნდა მიაქციოთ ყურადღება, როცა ფულის დაბანდებას დააპირებთ. მოკლედ ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე მთავარი წესი:

- არ იჩქაროთ
- გადაამოწმეთ, ვისთან გაქვთ საქმე
- გაიგეთ, საიდან მოდის დაპირებული მოგება
- წაიკითხეთ პირობები და დაფიქრდით რისკებზე
- ასევე, არავის გაუზიაროთ თქვენი საბანკო ბარათის მონაცემები, ინტერნეტ ან მობილბანკის პაროლები და მსგავსი ინფორმაცია.

დაბოლოს, თუ ინტერნეტში ან სხვაგან ვინმე ფულთან დაკავშირებულ შეთავაზებას გიკეთებთ და არ იცით, უსაფრთხოა თუ არა, აუცილებლად უთხარით მშობელს ან სხვა სანდო უფროსს.

სლაიდი 26:

- *ხელი ასწიეთ, ვინ არის მზად, ამ ყველაფერზე ესაუბროს ოჯახის წევრებსაც? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*

ძალიან კარგი, დიდი მადლობა მოწვევისთვის! მე დაგემშვიდობებით და წარმატებას გისურვებთ!